

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სასაზღვრო პოლიცია

აშშ-ის სანაპირო დაცვის აკადემიაში სასწავლებლად ახალგაზრდებს გააზიარების

აშშ-ის სანაპირო დაცვის აკადემია (USCG) საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სასაზღვრო პოლიციას ოთხწლიანი ინტენსიური საბაკალავრო პროგრამისთვის კანდიდატების შერჩევას სთავაზობს.

ამერიკის შეერთებული შტატების სანაპირო დაცვის აკადემია აცხადებს კანდიდატების მიღებას 2019-2023 სასწავლო წლებისთვის. კურსსანტის სასწავლო გადასახადს, ყოველთვიურ ფულად სარგოს, უნიფორმით უზრუნველყოფისა და კვების ხარჯებს აშშ-ის მთავრობა სრულად დაფარავს¹. სხვა საჭირო ხარჯებს კი შინაგან საქმეთა სამინისტროს სასაზღვრო პოლიცია აანაზღაურებს. ხელშეკრულების თანახმად, აშშ-ის სანაპირო დაცვის აკადემიის (USCG) კურსდამთავრებულები, სულ მცირე, 6 წლის განმავლობაში, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სასაზღვრო პოლიციის სანაპირო დაცვის დეპარტამენტში იმსახურებენ.

აკადემია კანდიდატებს სწავლების რვა ძირითად მიმართულებას სთავაზობს:

- სამოქალაქო ინჟინერია;
- ელექტრო ინჟინერია;
- საზღვაო ფლოტის არქიტექტურა და ინჟინერია;
- ოპერაციების კვლევა;
- საზღვაო და გარემოს დაცვასთან დაკავშირებული მეცნიერებები;
- სახელმწიფო მართვა;
- სამანქანო ინჟინერია;
- მართვა.

აკადემიური პროგრამა ასევე ითვალისწინებს ნავიგაციისა და კანონალსრულების საკითხების თეორიულ სწავლებას.

მონაწილეობისთვის მინიმალური საკვალიფიკაციო მოთხოვნებია:

- წარდგენილი კანდიდატი ასაკი: 17-23 წლამდე;
- ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტი: კანდიდატი უნდა ფლობდეს სრული ზოგადი განათლების ატესტატს;
- სტანდარტიზებული ტესტი – SAT ან ACT:
 - სტანდარტიზებული ტესტი – SAT

¹ სწავლების ღირებულება, ერთი წლის განმავლობაში, შეადგენს დაახლოებით 97 000 აშშ დოლარს.

- (I) რეკომენდირებულია მინიმუმ 600 რაოდენობრივი ანალიზის/მათემატიკურ ნაწილიდან;
- (II) რეკომენდირებულია მინიმუმ 600 ვერბალური ნაწილიდან;
- სტანდარტიზებული ტესტი - ACT:
 - (I) რეკომენდირებულია მინიმუმ 26 რაოდენობრივი ანალიზის/მათემატიკურ ნაწილიდან;
 - (II) რეკომენდირებულია მინიმუმ 27 ვერბალური ნაწილიდან;
- **ინგლისური ენის სტანდარტიზებული ტესტი TOEFL:** (რეკომენდირებულია 90 ქულა (IBT) ტესტში.
- კანდიდატი უნდა აკმაყოფილებდეს შესაბამის ფიზიკური მომზადების მოთხოვნებს და უნდა ჩააბაროს **ფიზიკური მომზადების ტესტი** (საქართველოში და, შერჩევის შემთხვევაში, აშშ-ში);

ამასთან,

- კანდიდატის მზრუნველობის ქვეშ არ უნდა იყოს სხვა მესამე პირი და, ამავდროულად, არ უნდა იმყოფებოდეს ქორწინებაში;
- კანდიდატებმა უნდა გაიარონ გასაუბრება აშშ-ის სამხედრო ატაშესთან და აშშ-ის საელჩოს ოფიციალურ წარმომადგენელთან.

შერჩევის პროცედურა მოიცავს:

- ფიზიკურ ტესტს;
- ცურვის ტესტს;
- სამედიცინო შემოწმებას;
- გასაუბრებას აშშ-ს სამხედრო წარმომადგენლობასთან;
- გასაუბრებას შსს-ს კომისიასთან.

შერჩევის დამატებითი კრიტერიუმები:

- ლიდერობის უნარები;
- მაღალი აკადემიური მოსწრება;
- მოტივაცია.

საქართველოდან წარდგენილი კანდიდატი ჩაერთვება საერთაშორისო კონკურსში და უნდა მოხვდეს მსოფლიოს საუკეთესო 40 კანდიდატს შორის.

სტუდენტი ვალდებულია დაექვემდებაროს აშშ-ის სანაპირო დაცვის აკადემიის წესებს, რომელიც გულისხმობს აკადემიურ მოსწრებასა და დისციპლინას. აგრეთვე, აუცილებელი პირობაა კურსით გათვალისწინებული ყველა სავალდებულო საგნის გავლა და დასრულება. კანდიდატების წარმგზავნმა ქვეყანამ წერილობით უნდა დაადასტუროს, რომ კურსდამთავრებულები იმსახურებენ საკუთარი ქვეყნის საზღვაო ძალებში (სანაპირო დაცვის დეპარტამენტში).

სტუდენტები, რომლებიც არ არიან აშშ-ის მოქალაქეები და განათლებას იღებენ აშშ-ის სანაპირო დაცვის აკადემიაში, ვალდებული არიან დაასრულონ სრული ოთხწლიანი სასწავლო კურსი და დააკმაყოფილონ

აკადემიის მოთხოვნები. წინააღმდეგ შემთხვევაში ოთხწლიანი კურსის დასრულების შემდეგ მათზე გაიცემა სერტიფიკატი და არა დიპლომი.

აუცილებელია სტუდენტის საბანკო ანგარიშზე ერთჯერადად დაირიცხოს 3000 აშშ დოლარი, პერსონალური კომპიუტერის შესაძენად, რომელსაც ანაზღაურებს კანდიდატის წარმგზავნი ქვეყანა. გადასახადის პირველადი შენატანი უნდა განხორციელდეს სტუდენტის აკადემიაში ჩასვლამდე.

მნიშვნელოვანი თარიღები:

- არაუგვიანეს 2019 წლის იანვარი: SAT/ACT-ის და TOEFL-ის ტესტების ჩაბარება;
- 2019 წლის პირველი კვირა: გამგზავრებასთან დაკავშირებული საორგანიზაციო საკითხების მოწესრიგება – სავიზო დოკუმენტაცია, ჯანმრთელობის დაზღვევა, წინასწარი ხარჯების გაღება;
- 2019 წლის იანვრის ბოლო კვირა კანდიდატების მიერ შევსებული ყველა სააპლიკაციო პაკეტის წარდგენა;
- 2019 წლის მარტის პირველი კვირა: აშშ-ს დასტური ჩარიცხვის თაობაზე;
- 2019 წლის აპრილი: გამგზავნი ქვეყნის დასტური შემოთავაზებაზე;
- 2019 წლის ივნისის პირველი ნახევარი: საერთაშორისო კადეტების მივლინება სანაპირო დაცვის აკადემიაში;
- 2019 წლის ივნისის ბოლო: 2022 წლის გამოსაშვები კლასის საზაფხულო სასწავლო პროგრამის დაწყება.

საკონტაქტო პირები:

ირმა ახვლედიანი: +995 (595) 99 62 98; i.akhvlediani@mia.gov.ge